

შპს ბათუმის წყალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის ფინანსური
ანგარიშგება

და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	12
1. კომპანია და მისი საქმიანობა	12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა	21
4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში.....	23
5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი	24
6. ძირითადი საშუალებები.....	26
7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	29
8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება	30
9. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	30
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	30
11. მიმდინარე სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31
12. შემოსავალი	31
13. სხვა მოგება/ (ზარალი) (აქტივების გაუფასურებით მიღებულ ეფექტამდე).....	31
14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	31
15. ფინანსური რისკების მართვა	32
16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	35
17. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები.....	35
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
19. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები.....	37
მმართველობითი ანგარიშგება	39
1. კომპანიისა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა.....	39
2. კორპორაციული მართვის მიმოხილვის ანგარიში	40
3. არაფინანსური ანგარიშგება	43

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის წყალის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ბათუმის წყალის“ (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას (წარდგენილია 8 იდან - 37-ე გვერდებზე).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველში“- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

(ქვემოთ, ტექსტში, თანხები მოცემულია ათას ლარში თუ სხვაგვარად, სპეციალურად, არ იქნა მინიშნებული)

სავაჭრო მოთხვნები გაუფასურების რეზერვი - კომპანია წყლის მიწოდებისა და წყალარინების მომსახურებიდან წარმოშობილი დებიტორული დავალიანების აღრიცხვისათვის იყენებს სპეციალურ პროგრამას. სპეციალურ პროგრამაში ხორციელდება მომხმარებლების მიხედვით დარიცხვების, გადახდებისა და ნაშთების დეტალების ასახვა. ფასს - 9 ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამისად საექვო ვალების გაანგარიშებისათვის ამოსავალი ინფორმაცია ამ სპეციალური პროგრამიდან არის ნაწარმოები. სახელმწიფო რეგულურად ახორციელებს ცალკეულ სოციალური ჯგუფებში შემავალი ფიზიკური პირების დებიტორული დავალიანების კომპენსირების მიზნით კომპანიის სპეციალურ ფინანსირებას. ამ ფინანსირების გარკვეული ნაწილი სპეციალურ პროგრამაში აისახება გარკვეული დავალიანებით, პროგრამაში აბონენტზე აუთხავი სუბსიდიის თანხები მოცემულია ქვემოთ ცხრილში. ამ თანხების გამო საექვო ვალების გაანგარიშებისათვის ამოსული ინფორმაცია არის გამრუდებული და საექვო ვალების რეზერვის თანხა გაზრდილი ოდენობით არის გამოანგარიშებული და ასახული. ეს ნაკლოვანება წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც კომპანიის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 10 აპრილს გაცემული ჩვენი, როგორც აუდიტორის, დასკვნა იქნა მოდიფიცირებული. ქვემოთ ცხრილში მოცემულია მონეტარული დეტალები:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები წყლისა და წყალარინების მომსახურებიდან - სპეციალურ პროგრამაში ასახული მოთხოვნები)	7,563	7,251
საექვო ვალების რეზერვი	(4,795)	(4,611)
გაუტარებელი სუბსიდია	(841)	(859)

ზემოტ მოყვანილ მიზეზთა გამო, ჩვენ ვერ ჩავატარეთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და ვერ განვსაზღვრეთ რა ოდენობით იყო საჭირო კორექტირების შეტანა საექვო ვალების რეზერვის თანხებში და ფინანსურ ანგარიშგებაში მასთან დაკავშირებულ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით. ამასთანავე, ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი და მიმდინარე საექვო ვალის რეზერვის ციფრების შესადაარისობაზე ამ საკითხების პოტენციური გავლენის გამო.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვესურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 3.1 -ე შენიშვნაზე „საწარმოს უწყვეტობის პრინციპი“ რომელიც ასახავს რომ: “კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრისათვის აკუმულირებულმა ზარალმა და მიმდინარე პერიოდის ზარალმა შეადგინა 146,277 და 11,577 შესაბამისად. აკუმულირებული ზარალი მნიშვნელოვან წილად განპირობებულია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირების შედეგებით, რომელთა ეფექტი მხოლოდ 2024 და 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 17,188 და 4,361 შესაბამისად (გაუფასურების შედეგების გარეშე პერიოდის მოგება შეადგენდა 2024 და 2023 წლისათვის 5,611 და 4,856 შესაბამისად). კომპანიის მომავალი გაფართოება და მდგრადი სტაბილური განვითარება არის დამოკიდებული საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებულ მომავალ ტარიფებზე და დამფუძნებლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მხრიდან კაპიტალური პროექტების დაფინანსებაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანიას მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სოციალური მნიშვნელობა აქვს აჭარის დედაქალაქის ცხოვრებაში, ამასთანავე, კომპანიის მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი დამფუძნებლის მხრიდან რამე სახის კომპანიასთან დაკავშირებულ რეორგანიზაციის გეგმებზე. ამ დაშვებათა გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის რომ, მუნიციპალიტეტი მომავალშიც გააგრძელებს კომპანიის სათანადო მხარდაჭერას, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია უზრუნველყოფს მომავალი ტარიფების იმდაგვარად დადგენას, რომ უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის მომავალი შეუფერხებელი და მდგრადი ფუნქციონირება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის რომ, „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“ ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2.2 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენ, 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-3 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის, 2023 წლის მონაცემის, შესწორებების აუდიტი. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტებული იყო ჩვენს მიერ და მასზე გაიცა პირობითი დასკვნა. პირობითი დასკვნის გაცემის ერთ ერთი მიზეზს წარმოადგენდა სწორედ ის საკითხები რის გამოც სათანადოდ ჩასწორდა წინა პერიოდის ციფრები. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2025 წლის 22 სექტემბრით დათარიღებულ მართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკონტროლდა წინამდებარე აუდიტის დასვენასა და ანგარიშგებასთან ერთად 37 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“- ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვათაგან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2025 წლის 22 სექტემბრით დათარიღებული მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვენასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 37-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2025 წლის 22 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2025 წლის 22 სექტემბრით დათარიღებული მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 37-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2025 წლის 22 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023 (ჩასწორებული)	01.01.2023 (ჩასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	86,823	84,451	82,017
ძირითადი საშუალების შესყიდვაზე გადახდილი ავანსები		1,664	1,723	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		88,487	86,174	82,017
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	10,993	11,234	10,445
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8	2,421	2,202	2,648
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	9	29,730	12,814	1,920
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	17,664	10,969	7,990
სულ მოკლევადიანი აქტივები		60,808	37,219	23,003
სულ აქტივები		149,295	123,393	105,020
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	2.16	206,518	175,858	162,286
აკუმულირებული ზარალი		(146,277)	(135,404)	(135,957)
გადაფასების რეზერვი		45,121	41,661	37,920
სულ საკუთარი კაპიტალი		105,362	82,115	64,249
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული შემოსავალი (უზრფრუხტით გადმოცემული ქონება)	6.1	39,060	39,060	39,060
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება		679	141	114
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		39,739	39,201	39,174
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	4,194	2,077	1,597
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,194	2,077	1,597
სულ ვალდებულებები		43,933	41,278	40,771
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		149,295	123,393	105,020

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 სექტემბერი .

გენერალური დირექტორი: ალექსანდრე მჭავანაძე	გენერალური დირექტორის მოადგილე: თინა ართმელაძე	მთავარი ბუღალტერი: ნინო ლორია
---	---	----------------------------------

შპს "ბათუმის წყალი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
შემოსავალი	12	30,319	27,064
სულ შემოსავალი		30,319	27,064
შრომის ანაზღაურება		(15,238)	(13,074)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,305)	(2,131)
კომუნალური ხარჯი		(2,207)	(1,918)
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(1,836)	(1,850)
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი		(765)	(523)
საწვავი		(596)	(584)
დაცვა		(572)	(421)
საგადასახადო ხარჯი		(368)	(124)
რემონტის ხარჯი		(305)	(158)
ავტოტექნიკით მომსახურების ხარჯი		(290)	(260)
ქუჩების მოასფალტების მომსახურების ხარჯი		(269)	(164)
საექვო ვალების ხარჯი		(184)	(661)
რეგულირების საფასური		(93)	(73)
აუდიტორული მომსახურება		(69)	(62)
სხვა ხარჯი		(808)	(616)
ფინანსური შემოსავლები (საპროცენტო შემოსავალი - ნეტო)		2,051	1,358
სხვა მოგება/ (ზარალი) (აქტივების გაუფასურებით მიღებულ ეფექტის გარეშე)	13	146	(947)
სულ მოგება ძირითადი საშუალებების გაუფასურებით გამოწვეულ ეფექტამდე		5,611	4,856
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების ეფექტი (ნეტო)		(17,188)	(4,361)
სულ მიმდინარე წლის (ზარალი)/მოგება		(11,577)	495
სხვა სრული შემოსავალი			
ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში			
აფასებული ძირითადი საშუალებების აფასება და აფასებული აქტივების ჩამოფასებისას გადაფასების რეზერვის შემცირება (ნეტო)		4,164	3,799
სულ სხვა სრული შემოსავალი		4,164	3,799
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება/ (ზარალი)		(7,413)	4,294

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 სექტემბერი .

გენერალური დირექტორი:
ალექსანდრე მკავანაძე

გენერალური დირექტორის
მოადგილე: თინა ართმელაძე

მთავარი ბუღალტერი:
ნინო ლორია

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	36,125	31,868
სოციალურად დაუცველი პირების, ვეტერანების, მარტოხელა დედეებისა და მრავალშვილიანი ოჯახების წყლის ხარჯის სუბსიდია	360	322
თანამშრომლებზე გადახდილი ანაზღაურება და მათან დაკავშირებული გადასახადები	(15,451)	(13,454)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(12,560)	(13,359)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	8,474	5,377
საპროცენტო შემოსავალი	2,058	1,358
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	10,532	6,735
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(17,427)	(6,957)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	8	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(17,419)	(6,957)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი	13,582	3,201
საფინანსო საქმიანობისთვის დაგენერირებული ნეტო ფულადი სახსრები	13,582	3,201
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	6,695	2,979
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10,969	7,990
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17,664	10,969

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 სექტემბერი .

გენერალური დირექტორი:
ალექსანდრე მყავანაძე

გენერალური დირექტორის
მოადგილე: თინა ართმელაძე

მთავარი ბუღალტერი:
ნინო ლორია

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებულ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	162,286	37,920	(135,957)	64,249
გასული აქტივის გადაფასების რეზერვის კლასიფიკაცია		(58)	58	-
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	3,799	-	3,799
საწესდებო კაპიტალში შენატანი (ნეტო)	13,572	-	-	13,572
პერიოდის სრული მოგება	-	-	495	495
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	175,858	41,661	(135,404)	82,115
გასული აქტივის გადაფასების რეზერვის კლასიფიკაცია	-	(704)	704	-
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	4,164	-	4,164
საწესდებო კაპიტალში შენატანი (ნეტო)	30,660	-	-	30,660
პერიოდის სრული მოგება	-	-	(11,577)	(11,577)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	206,518	45,121	(146,277)	105,362

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 სექტემბერი .

გენერალური დირექტორი:
ალექსანდრე მჟავანაძე

გენერალური დირექტორის
მოადგილე: თინა ართმელაძე

მთავარი ბუღალტერი:
ნინო ლორია

შპს "ბათუმის წყალი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023 (ჩასწორებული)	01.01.2023 (ჩასწორებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	86,823	84,451
ძირითადი საშუალების შესყიდვაზე გადახდილი ავანსები		1,664	1,723
სულ გრძელვადიანი აქტივები	88,487	86,174	82,017
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	10,993	11,234
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8	2,421	2,202
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	9	29,730	12,814
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	17,664	10,969
სულ მოკლევადიანი აქტივები	60,808	37,219	23,003
სულ აქტივები	149,295	123,393	105,020
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2.16	206,518	175,858
აკუმულირებული ზარალი		(146,277)	(135,404)
გადაფასების რეზერვი		45,121	41,661
სულ საკუთარი კაპიტალი	105,362	82,115	64,249
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი (უზრფრუხტით გადმოცემული ქონება)	6.1	39,060	39,060
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება		679	141
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	39,739	39,201	39,174
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	4,194	2,077
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,194	2,077	1,597
სულ ვალდებულებები	43,933	41,278	40,771
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	149,295	123,393	105,020

კომპანიის ხელმძღვანელობის დასრულებული ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი იქნა 2025 წლის 22 სექტემბერი

გენერალური დირექტორი: გენერალური დირექტორის
ალექსანდრე მკავანაძე მლაშეიტი წმინა ართმელაძე

მთავარი ბუღალტერი:
ნინო ლორია

შპს "ბათუმის წყალი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
შემოსავალი	12	30,319	27,064
სულ შემოსავალი		30,319	27,064
შრომის ანაზღაურება		(15,238)	(13,074)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,305)	(2,131)
კომუნალური ხარჯი		(2,207)	(1,918)
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(1,836)	(1,850)
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი		(765)	(523)
საწვავი		(596)	(584)
დაცვა		(572)	(421)
საგადასახადო ხარჯი		(368)	(124)
რემონტის ხარჯი		(305)	(158)
ავტოტექნიკით მომსახურების ხარჯი		(290)	(260)
ქუჩების მოასფალტების მომსახურების ხარჯი		(269)	(164)
საექვო ვალების ხარჯი		(184)	(661)
რეგულირების საფასური		(93)	(73)
აუდიტორული მომსახურება		(69)	(62)
სხვა ხარჯი		(808)	(616)
ფინანსური შემოსავლები (საპროცენტო შემოსავალი - ნეტო)		2,051	1,358
სხვა მოგება/ (ზარალი) (აქტივების გაუფასურებით მიღებულ ეფექტის გარეშე)	13	146	(947)
სულ მოგება ძირითადი საშუალებების გაუფასურებით გამოწვეულ ეფექტამდე		5,611	4,856
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების ეფექტი (ნეტო)		(17,188)	(4,361)
სულ მიმდინარე წლის (ზარალი)/მოგება		(11,577)	495
სხვა სრული შემოსავალი			
ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში			
აფასებული ძირითადი საშუალებების აფასება და აფასებული აქტივების ჩამოფასებისას გადაფასების რეზერვის შემცირება (ნეტო)		4,164	3,799
სულ სხვა სრული შემოსავალი		4,164	3,799
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება/ (ზარალი)		(7,413)	4,294

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 22 დეკემბერს.

გენერალური დირექტორი: გენერალური დირექტორის მოადგილე/დირექტორის მოადგილე

მთავარი ბუღალტერი: ნინო ლორია

შპს "ბათუმის წყალი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	36,125	31,868
სოციალურად დაუცველი პირების, ვეტერანების, მარტოხელა დედეებისა და მრავალშვილიანი ოჯახების წყლის ხარჯის სუბსიდია	360	322
თანამშრომლებზე გადახდილი ანაზღაურება და მათან დაკავშირებული გადასახადები	(15,451)	(13,454)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(12,560)	(13,359)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	8,474	5,377
საპროცენტო შემოსავალი	2,058	1,358
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	10,532	6,735
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(17,427)	(6,957)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	8	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(17,419)	(6,957)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი	13,582	3,201
საფინანსო საქმიანობისთვის დაგენერირებული ნეტო ფულადი სახსრები	13,582	3,201
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	6,695	2,979
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10,969	7,990
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17,664	10,969

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 სექტემბერი.

გენერალური დირექტორი:
ალექსანდრე მუხანაძე



გენერალური დირექტორის
მოადგილე: თინა ართმელაძე

მთავარი ბუღალტერი:
ნინო ლორია

შპს "ბათუმის წყალი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებულ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	162,286	37,920	(135,957)	64,249
გასული აქტივის გადაფასების რეზერვის კლასიფიკაცია	-	(58)	58	-
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	3,799	-	3,799
საწესდებო კაპიტალში შენატანი (ნეტო)	13,572	-	-	13,572
პერიოდის სრული მოგება	-	-	495	495
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	175,858	41,661	(135,404)	82,115
გასული აქტივის გადაფასების რეზერვის კლასიფიკაცია	-	(704)	704	-
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	4,164	-	4,164
საწესდებო კაპიტალში შენატანი (ნეტო)	30,660	-	-	30,660
პერიოდის სრული მოგება	-	-	(11,577)	(11,577)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	206,518	45,121	(146,277)	105,362

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, ინანტაბილური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და
ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 სექტემბერი.



გენერალური დირექტორი:
ალექსანდრე მეფეანაძე



გენერალური დირექტორის
მრავალჯერადი ხელმოწერა





მთავარი ბუღალტერი:
ნინო ლორია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბათუმის წყალი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/კ 245556679) რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 21 იანვრიდან, საქართველოს კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ბათუმი, თაბუკაშვილის ქ.19.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმმართველი ქალაქის, ბათუმის მუნიციპალიტეტი (ს/კ 245576826). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისათვის და ქალაქ ბათუმისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისათვის. კომპანია ფლობს და ექსპლუატაციას უწევს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და წყალარინებისათვის. კომპანიაში დასაქმებული იყო 2024 წლის 31 დეკემბერს 657 თანამშრომელი (613; 2023 წლის 31 დეკემბერს).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2023 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგებებზე არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა. ჩასწორების დეტალები და მიზეზები მოცემულია ქვემოთ:

ჩასწორებების ძირითადი მიზეზები გამოწვეულია შემდეგით:

- კომპანიამ მოახდინა საშემფასებლო კომპანიის დაქირავება და მისი ძირითადი საშუალებების გადაფასება 2023 წლის 1 იანვრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასების შედეგები შესაბამისად გატარებულია გადაფასების რეზერვების, პერიოდის გაუფასურებისა და გაუნაწილებელი მოგების ჩასწორების გზით.
- კომპანიამ 2023 წლის 1 იანვრიდან მოახდინა მისთვის უზურფუქტით გამოცემული აქტივების აღრიცხვის პრინციპის ცვლილება. ამ თარიღის შემდეგ აქტივები ასახულია სამართლიანი ღირებულებით და შესაბამისი შემოსავალი ასახული გადავადებული შემოსავლების სახით.
- 2023 წლის მოგება ზარალის ანგარიშებაში მოხდენილია უმნიშვნელო ხარჯების რეკლასიფიკაცია.
- ამ ცვლილებებს არ გამოუწვევია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ცვლილებები.

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2023 (ჩასწორებული)	ჩასწორება	31.12.2023 (ჩასწორებამდე)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	84,451	72,517	11,934
არამატერიალური აქტივი	-	(5)	5
ძირითადი საშუალების შესყიდვაზე გადახდილი ავანსები	1,723	-	1,723
სულ გრძელვადიანი აქტივები	86,174	72,512	13,662
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგი	11,234	-	11,234
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,202	-	2,202
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	12,814	-	12,814
ფული და ფულის ექვივალენტები	10,969	-	10,969
სულ მოკლევადიანი აქტივები	37,219	-	37,219
სულ აქტივები	123,393	72,512	50,881
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	175,858	-	175,858
აკუმულირებული ზარალი	(135,404)	923	(136,327)
გადაფასების რეზერვი	41,661	32,529	9,132
სულ საკუთარი კაპიტალი	82,115	33,452	48,663
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	39,060	39,060	-
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	141	-	141
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	39,201	39,060	141
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,077	-	2,077
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,077	-	2,077
სულ ვალდებულებები	41,278	39,060	2,218
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	123,393	72,512	50,881

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ვინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	01.01.2023 (ჩასწორებული)	ჩასწორება	01.01.2023 (ჩასწორებამდე)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
პირითადი საშუალებები	84,254	72,178	12,076
არამატერიალური აქტივი	-	(19)	19
სულ გრძელვადიანი აქტივები	84,254	72,159	12,095
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგი	10,445	-	10,445
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,648	-	2,648
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	1,920	-	1,920
ფული და ფულის ექვივალენტები	7,990	-	7,990
სულ მოკლევადიანი აქტივები	23,003	-	23,003
სულ აქტივები	107,257	72,159	35,098
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	162,286	-	162,286
აკუმულირებული ზარალი	(135,937)	2,161	(138,098)
გადაფასების რეზერვი	40,137	30,938	9,199
სულ საკუთარი კაპიტალი	66,486	33,099	33,387
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	39,060	39,060	-
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	114	-	114
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	39,174	39,060	114
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,597	-	1,597
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,597	-	1,597
სულ ვალდებულებები	40,771	39,060	1,711
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	107,257	72,159	35,098

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2023 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)	ჩასწორება	31.12.2023 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებამდე)
შემოსავალი	27,064	-	27,064
სულ შემოსავალი	27,064	-	27,064
შრომის ანაზღაურება	(13,074)	-	(13,074)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,131)	(1,176)	(955)
კომუნალური ხარჯი	(1,918)	-	(1,918)
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(1,850)	-	(1,850)
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი	(523)	-	(523)
საწვავი	(584)	-	(584)
დაცვა	(421)	-	(421)
რემონტის ხარჯი	(158)	(158)	-
საგადასახადო ხარჯი	(124)	(124)	-
რეგულირების საფასური	(73)	(73)	-
ავტოტექნიკით მომსახურების ხარჯი	(260)	-	(260)
ქუჩების მოასფალტების მომსახურების ხარჯი	(164)	-	(164)
საექვო ვალების ხარჯი	(661)	-	(661)
აუდიტორული მომსახურება	(62)	(62)	-
სხვა ხარჯი	(616)	417	(1,033)
ფინანსური შემოსავლები	1,358	-	1,358
სხვა მოგება/ზარალი (აქტივების გაუფასურებით მიღებულ ეფექტამდე)	(947)	(17)	(930)
სულ შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებულ ეფექტამდე	4,856	(1,193)	6,049
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების ეფექტი (ნეტო)	(4,361)	(16)	(4,345)
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი/შემოსავალი	495	(1,209)	1,704
სხვა სრული შემოსავალი			
ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში აფასებული ძირითადი საშუალებების აფასება და აფასებული აქტივების ჩამოფასებისას გადაფასების რეზერვის შემცირება (ნეტო)	3,799	3,799	-
სულ სხვა სრული შემოსავალი	3,799	3,799	-
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება/ (ზარალი)	4,294	2,590	1,704

2.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.5 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვანამდე.

2.6 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ფინანსური რისკები - მე-16 შენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-10 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.7 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ

ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.8 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.9 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.10 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი

საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის გადახედვა. აქტივების დარცენილი სასიცოცხლო ვადა წლებში 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაგებობა-გაყვანილობა	3-52
სატრანსპორტო საშუალება	2-9
საოფისე და საწარმოო ინვენტარი, ავეჯი	1- 46

მილსადენები წარდგენილია სალიკვიდაციო ღირებულებით რის გამოც მათ ცვეთა არ ერიცხებათ.

2.11 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 6 წლის გაანგარიშებით.

2.12 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.14 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილი ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.15 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.16 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემები არ არის მოყვანილი მეწარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისობაში, რის გამოც კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა არ არის თანხვედრაში კანონით განსაზღვრულ კაპიტალის სტრუქტურასთან. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემები, მათ შორის კაპიტალთან დაკავშირებული მონაცემები, ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანილ უნდა იყოს 2026 წლის 1 აპრილამდე. ვინაიდან კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა არ შეესაბამება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული კაპიტალის სტრუქტურას, კომპანიის კაპიტალი წარმოდგენილია ერთიანი კაპიტალის სახით. კაპიტალი შევსებულია ნაწილობრივ ახსნა განმარტებით შენიშვნა 9 ასახულია დამფუძნებლის მიმართ მოთხოვნა 28,663 კაპიტალის შევსების კუთხით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.17 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.18 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.19 უცხოელ ვალუტაში გადაანგარიშება

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური

შემოსავალი, ან ხარჯი. ცვლილებები ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია: 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი და 1 ევრო = 2.9306. (2023 წლის 31 დეკემბრის: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი და 1 ევრო = 2.9753)

2.20 ამონაგების აღიარება.

რეალიზებული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღე-სა და ფასდათმობის გარეშე.

2.21 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.22 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრისათვის აკუმულირებულმა ზარალმა და მიმდინარე პერიოდის ზარალმა შეადგინა 146,277 და 11,577 შესაბამისად. აკუმულირებული ზარალი მნიშვნელოვან წილად განპირობებულია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირების შედეგებით, რომელთა ეფექტი მხოლოდ 2024 და 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 17,188 და 4,361 შესაბამისად (გაუფასურების შედეგების გარეშე პერიოდის მოგება შეადგენდა 2024 და 2023 წლისათვის 5,611 და 4,856 შესაბამისად). კომპანიის მომავალი გაფართოება და მდგრადი სტაბილური განვითარება არის დამოკიდებული საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებულ მომავალ ტარიფებზე და დამფუძნებლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მხრიდან კაპიტალური პროექტების დაფინანსებაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანიას მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სოციალური მნიშვნელობა აქვს აჭარის დედაქალაქის ცხოვრებაში, ამასთანავე, კომპანიის მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი დამფუძნებლის მხრიდან რამე სახის კომპანიასთან დაკავშირებულ რეორგანიზაციის გეგმებზე. ამ დაშვებათა გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის რომ, მუნიციპალიტეტი მომავალშიც გააგრძელებს კომპანიის სათანადო მხარდაჭერას, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია უზრუნველყოფს მომავალი ტარიფების იმდენად დადგენას, რომ უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის მომავალი შეუფერხებელი

და მდგრადი ფუნქციონირება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის რომ, „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

3.2 დავა შემოსავლების სამსახურთან

კომპანია აქვს მიმდინარე საგადასახადო დავა შემოსავლების სამსახურთან, რომელიც დაწყებულია 2015 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში აღნიშნული დავა განხილული იყო შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველ საბჭოებში, რამოდენიმე სასამართლო ინსტანციაში მათ შორის ერთ ერთ ეტაპზე უზენაეს სასამართლოში, რომელმაც დავა დააბრუნა შემოსავლების სამსახურში განსახილველად. 2022 წლის იანვარში დავამ გადაინაცვლა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. დავა ეხება 2015 წლის შემოსავლების სამსახურის მიერ აქტით დარიცხულ თანხას, წყლის დანაკლისის მიწოდებად არ აღიარებასთან დაკავშირებით. ზოგადად მოქმედი კანონმდებლობით ფინანსთა სამინისტროს ნორმატივების ზევით დანაკლისის თანხა ითვლება დღე დასაბეგრ ოპერაციით. კომპანიას არ ქონდა 2022 წლის 1 იანვრამდე დადგენილი ასეთი სახის ნორმატივები. ამავ დროს აქვს მნიშვნელოვანი დანაკარგის პროცენტები წყლის მომარაგების ნაწილში. 2013 წელს ანალოგიური დავა მრავალმილიონიან თანხებზე კომპანიას ქონდა შემოსავლების სამსახურთან. აღნიშნული პროცესი დასრულდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის განკარგულების და შემოსავლების სამსახურის საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე დარიცხული თანხის შემცირების გზით. მიმდინარე დავის საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ორი თვის დანაკლისთან დაკავშირებული დარიცხვები სადაც ძირითადი თანხა შეადგენს 163 ათას ლარს. ამ საგადასახადო დავის წაგების შემთხვევაში კომპანიას ელის მნიშვნელოვანი რამოდენიმე მილიონიანი. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანიას მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სოციალური მნიშვნელობა აქვს აჭარის დედაქალაქის ცხოვრებაში, აქედან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ აღნიშნული დავა დასრულდება კომპანიისათვის მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგების გარეშე ან სასამართლოში ან საქართველოს მთავრობის განკარგულებით საგადასახადო მორიგების სახით, ისე როგორც ეს მოხდა 2013 დავის შემთხვევაში. შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.2 სასამართლო დავა მომწოდებელთან

სამართლებრივი პროცედურები და დავა მომწოდებელთან. კომპანია არ აღიარებს ერთ ერთი მომწოდებლის მიერ გამოწერილ ინვოისებს ჯამური თანხით 592. კომპანია თვლის რომ სადავო საქონელი არ შეესაბამებოდა სახელშერკულებო პირობებს, შესაბამისად არ არსებობს არანაირი იურიდიული საფუძველი შესაბამისი თანხების მისთვის დარიცხვისა. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის ამ პროცესიდან რაიმე სახის უარყოფით შედეგებს, შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს სარჩელის განხილვა ბათუმის საქალაქო სასამართლოში (დავის საგნის ღირებულება 722).

3.3 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.4 სავაჭრო დებიტორების გაუფასურება.

კომპანია პერიოდულად აფასებს საექვო ვალების გაუფასურების მიდგომებს. კომპანია გაუფასურების წარმოებისას ეყრდნობა თავის შიდა შეფასებებს და სწამს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურების რეზერვები წარდგენილია სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. დეტალები იხილეთ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა 9-ში.

4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ დანერგვას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებების შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს გავლენას, ვალდებულების ვადიანობის მიხედვით, კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე, მაშინ შესაბამისობა ახდენს გავლენას მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის კლასიფიკაციაზე, იმის მიუხედავად, რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ, 12 თვის პერიოდში, მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა-განმარტების წარდგენას. ახსნა-განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებსა და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება, დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად, ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს, თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილება განსაზღვრავს გამყიდველი მოიჯარის მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა-განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა-განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი, რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა, რომლებიც დაკავშირებულია SFA - სთან და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება, რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.

SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან, პირველადი დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

ფასს-ების ინტერპრეტაციის კომიტეტმა გამოსცა გარკვეული გადაწყვეტილებები რომლებიც მნიშვნელოვანია 2024 ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, თუმცა მათ დანერგვას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი	საკითხი
2024 წლის იანვარი	დედა კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის გაერთიანება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბასს 27)
2024 წლის აპრილი	დასაქმების გაგრძელებაზე დამოკიდებული გადახდები გადაცემის პერიოდში (ფასს 3)
2024 წლის აპრილი	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ბასს 37)

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადადერ არ მიიღო შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). 2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხო პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამოწვევების, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოადგენს კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).

- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (მაღაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა	ნაგებობა- გაყვანილობა	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე და საწარმოო ინვენტარი, ავეჯი	რემონტები- დაუმთავრებელი	სულ
01.01.2023 გადაფასებული ღირებულება	76,173	1,048	-	80	3,615	1,101	-	82,017
შემენა	-	-	2,650	729	594	1,006	454	5,433
დარიცხული ცვეთა	-	(58)	-	-	(1,803)	(270)	-	(2,131)
გადაფასების გამო ცვეთის განულება	-	58	-	-	1,803	270	-	2,131
გასვლა	-	-	-	-	(109)	-	-	(109)
გადაფასების ეფექტი	1,563	212	(2,650)	(728)	(151)	(682)	(454)	(2,890)
31.12.2023 გადაფასებული ღირებულება	77,736	1,260	-	81	3,949	1,425	-	84,451
შემენა	-	-	5,031	1,427	1,367	787	11,797	20,409
დარიცხული ცვეთა	-	(74)	-	-	(2,825)	(407)	-	(3,306)
გადაფასების გამო ცვეთის განულება	-	74	-	-	2,825	407	-	3,306
გასვლა	-	-	-	-	(76)	-	-	(76)
გადაფასების ეფექტი	629	79	(5,031)	(1,439)	280	(682)	(11,797)	(17,961)
31.12.2024 გადაფასებული ღირებულება	78,365	1,339	-	69	5,520	1,530	-	86,823

6.1 უზურფრუქტით გადმოცემული ქონება. კომპანიას უსასყიდლო უზურფრუქტით გადმოცემული აქვს დამფუძნებლიდან მნიშვნელოვანი უძრავი ქონებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტები (მილსადენები). მილსადენები კლასიფიცირდა სპეციალიზირებულ აქტივებად, რომლებსაც არ აქვს სალიკვადიო ღირებულება ისინი შეფასებულია ნოლის ტოლად, ხოლო მიწები ნაწილი საბაზრო მიდგომით და ნაწილი ნორმატიული ღირებულებით. ბასს 20 - სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნების შესაბამისად, აღიარებული აქტივები აისახა თავდაპირველად გადავადებული შემოსავლის სახით. ამ აქტივების ჩამოფასებამ შეამცირა გადავადებული შემოსავალი, ხოლო აფასებამ და გაზარდა გადაფასების რეზერვები. გადმოცემული აქტივების საბალანსი ღირებულება მოცემულია ქვემოთ:

უზურფრუქტით გადმოცემული ქონება	მიწა	სულ
01.01.2023 გადაფასებული ღირებულება	50,697	50,697
გადაფასების ეფექტი	241	241
31.12.2023 გადაფასებული ღირებულება	50,938	50,938
გადაფასების ეფექტი	89	89
31.12.2024 გადაფასებული ღირებულება	51,027	51,027

6.2 რეალური ღირებულებით შეფასებული ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასებულია რეალური ღირებულებით 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.

ხელმძღვანელობის შეფასებით სხვა და სხვა მახასიათებლების გამო კომპანიის აქტივები წარმოადგენს როგორც სპეციფიკური ისე არა სპეციფიკურ აქტივებს. სპეციფიკურია აქტივი რომლისათვის საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი, არასპეციფიკური შემთხვევაში პირიქით. შესაბამისად რეალური ღირებულება არასპეციფიკური აქტივების შემთხვევაში განისაზღვრა საბაზრო მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 2 დონის ამოსავალი მონაცემებით შეფასებული აქტივი. იმ აქტივებისათვის, რომელიც დანიშნულების, მასშტაბის და სხვა მახასიათებლების გამო სპეციფიკურია და საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი, რეალური ღირებულების განსაზღვრისას ვერ ხდება რწმუნების მოპოვება საბაზრო მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით. შედეგად, აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრა დანახარჯების მეთოდით მათი მათ შორის ეკონომიური ცვთის გათვალისწინებით (მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების მეთოდის გამოყენებით გაუფასურება). ასეთ შემთხვევაში ვინაიდან გამოყენებული იყო მინიმუმ ერთი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემი, შესაბამისად რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 3 დონე. კომპანია ერთად-ერთი ფულის მაგენერირებელი ერთეულის უარყოფითი გაანგარიშებული ღირებულების გამო (დეტალები იხილეთ ქვემოთ) კომპანიის სპეციალიზირებული აქტივები წარდგენილია სალიკვიდაციო ღირებულებით ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო სპეციალიზირებულად ჩათვლილი მიწები ნორმატიული ღირებულებით.

პერიოდებს შორის შეფასების ტექნიკაში მომხდარი ცვლილება ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან.

რეალური ღირებულების გაზომვა მოხდა აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან. შეფასების მიდგომები და ამოსავალი ინფორმაციის დონეები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გამოყენებული მეთოდი (2024 წლის 31 დეკემბრისთვის)	რეალური ღირებულ ების დონე	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარ ები და აღჭურვი ლობა	სატრანსპო რტო საშუალება	საოფისე და საწარმოო ინვენტარი, ავეჯი	სულ
საბაზრო მეთოდი	დონე 2	9,906	1,339	-	5,520	1,507	18,272
მიწა ნორმატიული ფასი, სხვა	დონე 3	68,459	-	68	1	23	68,551
სალიკვიდაციო ღირებულება.							
სულ		78,365	1,339	68	5,521	1,530	86,823

გამოყენებული მეთოდი (2023 წლის 31 დეკემბრისთვის)	რეალური ღირებულ ების დონე	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარ ები და აღჭურვი ლობა	სატრანსპო რტო საშუალება	საოფისე და საწარმოო ინვენტარი, ავეჯი	სულ
საბაზრო მეთოდი	დონე 2	9,278	1,260	-	3,948	1,405	15,891
მიწა ნორმატიული ფასი, სხვა	დონე 3	68,458	-	80	1	21	68,560
სალიკვიდაციო ღირებულება.							
სულ		77,736	1,260	80	3,949	1,426	84,451

გამოყენებული მეთოდი (2023 წლის 1 იანვრისთვის)	რეალური ღირებულ ების დონე	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარ ები და აღჭურვი ლობა	სატრანსპო რტო საშუალება	საოფისე და საწარმოო ინვენტარ ი, ავეჯი	სულ
საბაზრო მეთოდი	დონე 2	7,715	1,048	-	3,614	1,097	13,474
მიწა ნორმატიული ფასი, სხვა	დონე 3	68,458	-	80	1	4	68,543
სალიკვიდაციო ღირებულება.							
სულ		76,173	1,048	80	3,615	1,101	82,017

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაციის საფუძველზე შეფასებული აქტივები წარმოადგენს სპეციალიზირებულ აქტივებს. ამ მიზეზის გამო კომპანიამ 2024 წლის ბოლოსათვისაც მოახდინა თავის არამონეტარული აქტივების გაუფასურება ბასს - 36 შესაბამისად. გაუფასურების ტესტირება ნაწარმოებია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გამოყენებით კომპანია ჩათვლილი იყო როგორც ერთ ფულის მაგენერირებელი ერთეული. რომლებიც სრულად გაუფასურდა (სალიკვიდაცო ღირებულებამდე, მიწების შემთხვევაში მათ ნორმატიულ ღირებულებამდე) გაუფასურების ტესტირების საფუძველზე. ფულადი ნაკადების დისკონტირებისას გამოყენებული დისკონტირებისას მე-3 დონის (არადაკვირვებადი) ამოსავალი ინფორმაციის დეტალები რომელიც გამოყენებული აქვს შემფასებელს მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	31.12.2024	31.12.2023	31.12.2023
დისკონტირების განაკვეთი	13.55%	13.21%	13.36%
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ზრდის კოეფიციენტი	2.1%	2.2%	2.2%
შემოსავლების ზრდის კოეფიციენტი ნორმალიზებამდე გასაშუალოებული	11.36%	11.03%	11.31%

საბაზისო მოდელით კომპანიის ერთადერთი ფულის მაგენერირებელი ერთეულის ღირებულებამ შეადგინა უარყოფითი თანხა ათას ლარებში: 15,791, 21,460 და 23,597 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად.

ზემოთ მოცემული სათითაო კოეფიციენტების 1 პროენტით ზრდა სხვა ინფორმაციის უცვლელობის შემთხვევაში გამოიწვევს ღირებულების შემდეგ ცვლილებას (დადებითი ნიშნავს ზარალის შემცირებას, უარყოფითი ზარალის გაზრდას):

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	31.12.2024	31.12.2023	31.12.2023
დისკონტირების განაკვეთი	(376)	(211)	18
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ზრდის კოეფიციენტი	(153)	(137)	(115)
შემოსავლების ზრდის კოეფიციენტი ნორმალიზებამდე გასაშუალოებული	3,990	3,854	3,529

ზემოთ მოცემული სათითაო კოეფიციენტების 1 პროენტით კლება სხვა ინფორმაციის უცვლელობის შემთხვევაში გამოიწვევს ღირებულების შემდეგ ცვლილებას (დადებითი ნიშნავს ზარალის შემცირებას, უარყოფითი ზარალის გაზრდას):

ძირითადი მე-3 დონის ამოსავალი ინფორმაცია	31.12.2024	31.12.2023	31.12.2023
დისკონტირების განაკვეთი	503	333	77
ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ზრდის კოეფიციენტი	153	138	114
შემოსავლების ზრდის კოეფიციენტი ნორმალიზებამდე გასაშუალოებული	(3,990)	(3,854)	(3,530)

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2024	31.12.2023 (ჩასწორებული)	01.01.2023 (ჩასწორებული)
სათადარიგო ნაწილები	10,992	11,219	10,428
საწვავი	1	15	17
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	10,993	11,234	10,445

8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023 (ჩასწორებული)	01.01.2023 (ჩასწორებული)
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები წყლისა და წყალარინების მომსახურებიდან)	7,563	7,251	6,753
სხვა მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები	494	421	691
საექვო ვალების რეზერვი	(4,795)	(4,611)	(3,950)
გაუტარებელი სუბსიდია	(841)	(859)	(846)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,421	2,202	2,648

გაუფასურების რეზერვის (ზრდა) / შემცირება	31.12.2024	31.12.2023
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	4,611	3,950
რეზერვის კორექტირება	184	661
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,795	4,611

9. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2024	31.12.2023 (ჩასწორებული)	01.01.2023 (ჩასწორებული)
გადახდილი ავანსები	102	32	22
წინასწარ გადახდილი გადასახადები	965	991	571
გაცემული გარანტიის უზრუნველსაყოფად დროებით გაყინული ფულადი სახსრები	-	207	113
დამფუძნებლის მიმართ მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 2.16)	28,663	11,584	1,214
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	29,730	12,814	1,920

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023 (ჩასწორებული)	01.01.2023 (ჩასწორებული)
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	17,664	10,969	7,990
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17,664	10,969	7,990

11. მიმდინარე სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023 (ჩასწორებული)	01.01.2023 (ჩასწორებული)
მოწოდებელთან არსებული დავალიანება	1,500	385	289
წყლისა და წყალარინების მომსახურებიდან მიღებული ავანსები	1,239	1,080	906
გადასახდელი ხელფასი	9	11	-
მიღებული სხვა ავანსები (მრიცხველების მოწყობა, წყალმომარაგებაზე და წყალარინებაზე დაერთება და სხვა)	1,446	601	402
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,194	2,077	1,597

12. შემოსავალი

	2024	2023 (ჩასწორებული)
წყლისა და წყალარინების მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	23,756	21,510
მრიცხველების მოწყობა, წყალმომარაგებაზე და წყალარინებაზე დაერთება	2,570	1,983
სანიაღვრე ქსელების მოვლა ექსპლოატაცია	3,812	3,379
ლაბორატორიული მომსახურებისგან მიღებული შემოსავალი	35	34
სხვა შემოსავალი	146	158
სულ შემოსავალი	30,319	27,064

13. სხვა მოგება/ (ზარალი) (აქტივების გაუფასურებით მიღებულ ეფექტამდე)

	2024	2023 (ჩასწორებული)
უსასყიდლო მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	(1,122)
უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგები	12	101
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი შემოსავალი	8	32
პირგასამტეხლო	93	73
სხვა ზარალი	33	(31)
სხვა მოგება/(ზარალი)	146	(947)

14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. გარდა ახსნა განმარტებით შენიშვნა 3.2 აღწერილი სასამართლო დავისა პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ, შესაძლოა, შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. ახსნა განმარტებით შენიშვნა 3.2 აღწერილია შემოსავლების სამსახურთან არსებული მნიშვნელოვანი დავის დეტალები. გარდა ამ საკითხისა, ზოგადად საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებსა და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,421	2,202	2,648
გაცემული გარანტიის უზრუნველსაყოფად გაყინული ფულადი სახსრები	-	207	113
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები			
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	17,664	10,969	7,990
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	20,085	13,378	10,751

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოჭივითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რომლებიც, ზოგადად, კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსს მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით, საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნულის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით, სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალი გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსალოდნელი ზარალი შეფასებულია მსგავსი მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების დაჯგუფების გზით და ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს. ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე, საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით, რომლებიც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს, ზოგადად, დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექვო ვალების რეზერვი მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვ- ნამდე	3 თვემდე ვადაგადა ცილება	3-დან 6 თვემდე ვადაგადა ცილება	6-დან 9 თვემდე ვადაგადა ცილება	9-დან 12 თვემდე ვადაგადა ცილება	12 თვე და 1 წელზე მეტი ვადაგადა ცილება	ჯამი
მოთხოვნები წყლისა და წყალარინების მომსახურებიდან	651	875	655	311	285	4,786	7,563
სხვა მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები	225	-	-	-	-	269	494
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	17,664	-	-	-	-	-	17,664
სულ ფინანსური აქტივები	18,540	875	655	311	285	5,055	25,721
გაუფასურების რეზერვი	(2)	(35)	(157)	(135)	(136)	(4,330)	(4,795)
ნეტო ფინანსური აქტივები	18,538	840	498	176	149	725	20,926

2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვ- ნამდე	3 თვემდე ვადაგადა ცილება	3-დან 6 თვემდე ვადაგადა ცილება	6-დან 9 თვემდე ვადაგადა ცილება	9-დან 12 თვემდე ვადაგადა ცილება	12 თვე და 1 წელზე მეტი ვადაგადა ცილება	ჯამი
მოთხოვნები წყლისა და წყალარინების მომსახურებიდან	975	359	332	215	387	4,983	7,251
სხვა მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები	184	-	-	-	-	237	421
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	10,969	-	-	-	-	-	10,969
გაცემული გარანტიის უზრუნველსაყოფად გაყინული ფულადი სახსრები	207	-	-	-	-	-	207
სულ ფინანსური აქტივები	12,335	359	332	215	387	5,220	18,848
გაუფასურების რეზერვი	(5)	(35)	(89)	(94)	(213)	(4,175)	(4,611)
ნეტო ფინანსური აქტივები	12,330	324	243	121	174	1,045	14,237

2023 წლის 1 იანვრისთვის:

	მოთხოვ- ნამდე	3 თვემდე ვადაგადა ცილება	3-დან 6 თვემდე ვადაგადა ცილება	6-დან 9 თვემდე ვადაგადა ცილება	9-დან 12 თვემდე ვადაგადა ცილება	12 თვე და 1 წელზე მეტე ვადაგადა ცილება	ჯამი
მოთხოვნები წყლისა და წყალარინების მომსახურებიდან	933	400	432	287	464	4,237	6,753
სხვა მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები	31	-	-	-	-	660	691
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	7,990	-	-	-	-	-	7,990
გაცემული გარანტიის უზრუნველსაყოფად გაყენული ფულადი სახსრები	113	-	-	-	-	-	113
სულ ფინანსური აქტივები	9,067	400	432	287	464	4,897	15,547
გაუფასურების რეზერვი	(3)	(13)	(21)	(41)	(173)	(3,699)	(3,950)
ნეტო ფინანსური აქტივები	9,064	387	411	246	291	1,198	11,597

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. კომპანიას ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად სავალუტო რისკის ზემოქმედება კომპანიაზე უმნიშვნელოა, რის გამოც კომპანია არ ახორციელებს თავისი სავალუტო პოზიციის მონიტორინგს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას აქვს გააჩნია მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული აქტივები რომელსაც ერიცხება პროცენტები, სხვა აქტივები და ვალდებულებები რომლებსაც პროცენტები ერიცხება კომპანიას არ აქვს. აქედან გამომდინარე კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის, შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები ყველა საანგარიშო თარიღისათვის წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებებს 6 თვემდე გადახდის პერიოდით. გრძელვადიანი დავალიანება არის 2 წლამდე ვადით გადახდის პერიოდით.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა დამფუძნებლებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ, შესაძლოა, დაუბრუნოს ან გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანიას არ ექვემდებარება გარეშე პირების მიერ რაიმე სახის კაპიტალის გამოყენების ან ფინანსური კოეფიციენტების სახით შეზღუდვებს.

16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

17. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,421	2,202	2,648
გაცემული გარანტიის უზრუნველსაყოფად გაყინული ფულადი სახსრები	-	207	113
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	17,664	10,969	7,990
სულ ფინანსური აქტივები	20,085	13,378	10,751
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები			
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	681	142	114
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	4,194	2,077	1,597
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,875	2,219	1,711

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისათვის კომპანიის უშუალო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გახლდათ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი. კომპანია ჩვეულებრივი ოპერირების ფარგლებში უწევს მომსახურებას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, მომსახურების ანაზღაურება და ღირებულება განსაზღვრა ხორციელდება არასაბაზრო სპეციფიკური პრინციპებით.

კომპანიის მფლობელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს და გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნულ პირებთან ოპერაციებისა და სესხისა, არ წარადგენს

შპს “ბათუმის წყალი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დაკავშირებულ მხარეებთან, სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებსა და ნაშთებს.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	ხელმძღვანელობა
<i>ოპერაციები:</i>		
სოციალურად დაუცველი პირების, ვეტერანების, მარტოხელა	360	-
დედებისა და მრავალშვილიანი ოჯახების წყლის ხარჯის სუბსიდია		
შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული ფასეულობებიდან	12	-
სანიაღვრე ქსელების მოვლა ექსპლოატაციით მიღებული შემოსავლები	3,812	-
მოკლევადიანი სარგებელი (წარმომადგენლობითი უფლებოსილების		
პირი გენერალური დირექტორი ხელფასი)	-	69
<i>ნაშთები</i>		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	70	-
მოთხოვნა კაპიტალი შევსებაზე	28,663	-

2023 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	ხელმძღვანელობა
<i>ოპერაციები:</i>		
სოციალურად დაუცველი პირების, ვეტერანების, მარტოხელა	322	-
დედებისა და მრავალშვილიანი ოჯახების წყლის ხარჯის სუბსიდია		
დამფუძნებლის დავალებით კომპენსაციის გარეშე გაწეული	(1,106)	-
სამუშაოების თვითორიერებულება		
შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული ფასეულობებიდან	101	-
სანიაღვრე ქსელების მოვლა ექსპლოატაციით მიღებული შემოსავლები	3,379	-
მოკლევადიანი სარგებელი (წარმომადგენლობითი უფლებოსილების		
პირი გენერალური დირექტორი ხელფასი)	-	59
<i>ნაშთები</i>		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	70	-
მოთხოვნა კაპიტალი შევსებაზე	11,584	-

2023 წლის 1 იანვრისთვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ნაშთები:

	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	ხელმძღვანელობა
<i>ნაშთები</i>		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	70	-
მოთხოვნა კაპიტალი შევსებაზე	1,214	-

19. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

2025 წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე:

- 2025 წლის მარტში კომპანიამ შესაბამისობაში მოიყვანა თავისი სარეგისტრაციო მონაცემები მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან და მისი კაპიტალი ჩამოყალიბდა განთავსებული კაპიტალის სახით.
- 2025 წლის 1 კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 20,340 ლარის ოდენობით და გახდა 226,838 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 22 სექტემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ბათუმის წყლის-ს

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიისა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს „ბათუმის წყალი“ წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 100%-ნი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სტრუქტურა, უფლებამოსილება და მართვის ორგანიზება განსაზღვრულია წესდებით. კომპანიას ფილიალები არ გააჩნია. წილის გამოსყიდვა არ მომხდარა. უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით.

შპს „ბათუმის წყალი“-ს ძირითადი საქმიანობაა ქალაქ ბათუმისა და მის ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე არსებული აბონენტების უზრუნველყოფა 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების სისტემების მომსახურებით.

შპს „ბათუმის წყალი“-ს ძირითადი საქმიანობაა:

- აბონენტების 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა
- აბონენტების 24 საათიანი წყალარინების ქსელით უზრუნველყოფა
- წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელზე ახალი აბონენტების დაერთება
- აღრიცხვის კვანძების მოწყობა
- ბათუმის სანიაღვრე ქსელის მომსახურება

საწარმოს ძირითადი შემოსავალია აბონენტების მიერ მოხმარებული წყლის და წყალარინების საფასური. მნიშვნელოვანია აგრეთვე ბათუმის სანიაღვრე ქსელის მოვლა-ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავალი. 2023 წელში კომპანიის ძირითადი შემოსავლები ფორმირდება წყლისა და წყალარინების მომსახურებით მიღებული შემოსავლებით, რომელიც დაიანგარიშება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის # 79 დადგენილებითაა განსაზღვრული ტარიფით, ხოლო სანიაღვრე ქსელის მოვლა-ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლის მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ტენდერთან.

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქონდა დამატებითი ახსნა განმარტებები.

2024 წლის განმავლობაში შპს „ბათუმის წყალი“ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ექსპლუატაციასა და უზრუნველყოფას უწევდა წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე წყლების საკამოდ დიდ ქსელებს - წყალმომარაგების 504.52 კმ, წყალარინების 243.46 კმ, სანიაღვრე წყლების 214 კმ. უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა ადმინისტრაციული ოფისების, წყალშემკრები, წყალმიღები რეზერვუარების, გამწმენდი ნაგებობების, ასევე წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია-ოპერირება, კომპიუტერული ბაზების, პროგრამების, ავტოპარკისა და სპეცტექნიკის გამართულობის შემოწმება, საწვავის სწორი და ეფექტური ხარჯვის კონტროლი, საწარმოო პრაქტიკიდან გამომდინარე შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო სათანადო მოწყობილობა-დანადგარების და მასალა-ნედლეულის შეძენასთან დაკავშირებული დროული ქმედებები მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ოპერატიული ჩანაცვლებისათვის. მიუხედავად მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისა, რჩება მთელი რიგი უპირატესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არსებით გავლენას მოახდენს შემდგომში კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე. ეს საკითხებია:

- ჩაქვის მთავარი გადამცემი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის ღონისძიებების დაწყება (დამოკიდებულის KFW-ს მიერ ტენდერების გამოცხადებაზე და შესრულების ვადების განსაზღვრაზე), რომელიც არსებითად შეამცირებს წყლის დანაკარგის მაჩვენებელს და წყლის ხარისხის ინდექსს სემეკის მიერ განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელს გაუსწორებს.
- წყალმომარაგების ახალი ქსელის მშენებლობა მიმდინარეობს ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიებზე გონიო, ხელვაჩაური, ადლია და ბათუმი, ქეთევან წამებულის ქუჩა. ქსელის მოწყობის შემდგომ მნიშვნელოვანი

ლონისძიებებია აღრიცხვის კვანძების მოწყობა და ახალი აბონენტების რეგისტრაცია წყლის გადასახადის გადახდელად.

- 2026 წლიდან კომპანიისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად არის მიჩნეული წყლისა და წყალარინების ქსელის მოწყობა ბუკნარი, მწვანე კონცხი, ზედა მახინჯაური და კახაბრის დასახლებაში.
- ხელვაჩაურის ტერიტორიაზე ახალი წყალარინების ქსელის მოწყობა ე.წ. ოცნების ქალაქის მიმდებრედ და აღნიშნულ ლოკაციაზე მოსახლეობის წყალარინების ქსელით მომსახურების უზრუნველყოფა.
- წყლის და წყალარინების სისტემაში არსებული სხვადასხვა დანიშნულების ტუმბოების სარემონტო და სხვა სამუშაოების დასაფიქსირებლად უნდა განხორციელდეს პასპორტიზაციის ელექტრონული სისტემის შექმნა;
- სახანძრო ჰიდრანტების დამატება, გეგმიური შემოწმება და შეკეთება;
- წყლის ქსელის სამანიპულაციო ურდულების გეგმიური შემოწმება და შეკეთება;
- გაჟონვის აღმოჩენი მოწყობილობების გამოყენებით იზოლირებულ უბნებში ფარული გაჟონვების მონიტორინგი-აღმოჩენა;
- გეოსაინფორმაციო სისტემის მეშვეობით წყლის და წყალარინების სისტემის გეომეტრიული ქსელის სრულყოფა; გეოსაინფორმაციო სისტემაში უკვე დამატებულია ბათუმის წყალმომარაგების მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელი სრულად და მიმდინარეობს მონაცემების განახლება ყოველდღიურ რეჟიმში, სადაც ასახულია ყველა კომუნიკაციაზე არსებული ინფორმაცია და მათი მდგომარეობა. გეოსაინფორმაციო სისტემის მეშვეობით შექმნილია სხვადასხვა საველე აპლიკაციები, რომლებიც საშუალებით სპეციალისტები ახდენენ მონაცემების შეგროვებას, რაც შემდგომი სამუშაოებისათვის მარტივ წარმოებას ხელს უწყობს, როგორც სტატისტიკას, ანალიზს და სხვას.
- ჩაქვის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის სისტემის რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით წყლის შემკრები სათავე ნაგებობა მუშაობს მექანიკური გამწმენდი მოწყობილობის ტექნოლოგიით, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია სათავე ნაგებობის ეფექტური ოპერატიული მართვისათვის. ასევე გამწმენდ ნაგებობაზე მუშაობს გაზოქლორიდის ტექნოლოგიური ხაზი, რაც უსაფრთხო ექსპლუატაციის რისკთანაა დაკავშირებული. ნაგებობის სრული რეაბილიტაცია დაგეგმილია 2030 წლისთვის.
- ავტომატიზირებული მართვის სისტემების დანერგვა - SCADA. აღნიშნული მართვის სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს ეფექტური მართვისა და სისტემის ან მისი შემადგენელი კომპონენტის გაუმართაობის შემთხვევაში ოპერატიული ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას. მართვის ავტომატიზირებული სისტემის დანერგვისათვის მომზადებულია შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია (პროექტი) და კვლევები შესასყიდად.

კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჯერ კიდევ ქალაქის მაშტაბით არსებული როგორც წყალმომარაგების, ასევე წყალარინების ძველი ქსელების არსებობა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია კომპანიის წყლის დანაკარგების დიდ მოცულობასთან და საექსპლუატაციო მაღალ ხარჯებთან, რადგან საწარმოს მთავარი ამოცანაა - ნებისმიერ ლოკაციაზე მომხმარებლის 24 საათიანი ხარისხიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფა, წყალარინების ქსელის გამართული ფუნქციონირება და ძველ ქსელებზე ავარიული შემთხვევების ოპერატიული და გადაუდებელი აღმოფხვრა. კომპანიაში დასაქმებული იყო 2024 წლის 31 დეკემბერს 657 თანამშრომელი.

2. კორპორაციული მართვის მიმოხილვის ანგარიში

2024 წელში კომპანიამ სასმელად დაამუშავა 38 404 ათასი ლიტრი წყალი, რაც 3 700 ათასი ლიტრით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე, აღნიშნული დადებითი მაჩვენებელი (დანაკარგების შემცირების მიმართულებით) გამოწვეულია გონიოს, ხელვაჩაურის და ადლიის დასახლებაში ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობით.

2024 წელს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებზე რეალიზებულია - 20 237 ათასი ლიტრი, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1 031 ათასი ლიტრით მეტია. სახეზეა რეალიზაციის მოცულობის ზრდა, რაც ძირითადად გამოწვეულია ქალაქის ურბანული განვითარებითა და ტურისტული ნაკადების ზრდით.

2024 წელს კომპანიის მთლიანმა შემოსავლებმა 30,319 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით 3255 მლნ. ლარით მეტია. შემოსავლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია რეალიზებული წყლისა და წყალარინების მომსახურების მოცულობის ზრდით.

2024 წელს საწარმოს ჰქონდა მოგება 5,611 ათასი ლარი. კომპანიამ 2025 წელს მოახდინა 31.12.2022, 31.12.2023, 31.12.2024 წლების მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების შეფასება და მათ გაუფასურების ტესტირება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები 36 - აქტივების გაუფასურების შესაბამისად, კვალიფიციური შემფასებლების დახმარებით. რამაც 2024 წელს საწარმოს საანგარიშო წელი დაასრულა ფინანსური ზარალით 11,577 ათასი ლარით. აქტივების გაუფასურების დეტალები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 6.

ბათუმის წყალის ფინანსური განვითარების შესაფასებლად საოპერაციო შედეგი გადამწყვეტია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების დინამიკით საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები ორივე ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა საოპერაციო შემოსავლების ზრდა უფრო დიდია, ვიდრე საოპერაციო ხარჯების იმავე პერიოდში. ამის ფონზე გაიზარდა ფინანსური მოგება, რომელიც არის დადებითი ტენდენცია და საჭიროა ამ ტენდენციის მომავალში შენარჩუნება.

მომავალი პერიოდის რისკები და პესპექტივები

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელობაზე. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანია აქტიურად მუშაობს ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას, თუკი მენეჯმენტი არ გააკონტროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს საწარმოს სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

საწარმოს მენეჯმენტის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია დებიტორული დავალიანებები, რომლებიც ამოღების კუთხით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებებისა, რათა სხვადასხვა მექანიზმებით (სამართლებრივი, ორმხრივი შეთანხმებები, დაფარვის მოქნილი გრაფიკების შეთავაზება და ა.შ) მაქსიმალური შედეგი იქნას მიღწეული და უზრუნველყოფილ იქნას დავალიანების თანხების ამოღება. სხვა დეტალები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 15.

დანაკარგების რისკი

დანაკარგების კონტროლის ნაწილში მნიშვნელოვანი რეგულაცია გამოიცა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის მიერ 2023 წლის 26 დეკემბერს # 66 დადგენილება, „სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემებში ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“, განისაზღვრა 2024-2026 წწ შპს „ბათუმის წყალის“ ნორმატიული წყლის დანაკარგი. 2024 წლის ბოლოს მოხდა ნორმატიული და ფაქტიური დანაკარგების შედარება, აღმოჩნდა რომ ფაქტიურმა დანაკარგმა გადააჭარბა 4111 ათასი კმ-ით ნორმატიულ დანაკარგს, რომელიც საყოფაცხოვრებო ტარიფით აისახა 2024 წლის დეკემბრის თვის დღე-სა და მოგების დეკლარაციებში. მნიშვნელოვანია რომ არსებული დანაკარგები, რომლებიც ძირითადად ძველი ქსელების არსებობითაა გამოწვეული, თუმცა ქალაქის მასშტაბებით მიმდინარე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების კვალობაზე თანდათანობით შემცირდება. ასევე მნიშვნელოვანია ძირითადი მაგისტრალური გადამცემი წყალმომარაგების ქსელის დაგეგმილი საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ასევე დიდ გავლენას მოახდენს დანაკარგების შემცირებაზე. დანაკარგებზე ზემოქმედებს ასევე არსებული მომხმარებლების გამრიცხველიანებისა და მრიცხველების გამოცვლის

პროცესის მიმდინარეობა, რომელიც ხელს შეუწყობს წყლის დაზოგვით მოხმარებას. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს წყლის რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

პერსპექტივაში შპს „ბათუმის წყალის“ მდგრადი ბიზნესის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება. ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურიზმის სფერო. მოგესხენებათ ტურიზმი ყველაზე სწრაფი ტემპით განვითარების სფეროა, რომელსაც შემდგომი განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, განსაკუთრებით ქალაქ ბათუმში, რასაც თავის მხრივ, წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა მოყვება. უსაფრთხო და უწყვეტი წყალმომარაგება უმნიშვნელოვანესია, როგორც საცხოვრებელი პირობებისთვის და ტურისტული სექტორის განვითარებისთვის.

სხვა პირობებში კომპანიის მენეჯმენტის წინაშე დადგება ისეთი საკითხების მოწესრიგება, როგორიცაა ტარიფის მისადაგება, პერსონალის განვითარების გეგმა და ქსელის უზრუნველყოფის მართვა, რომელთა ოპტიმალურმა გადაწყვეტამ უნდა უზრუნველყოს სამომავლოდ საწარმოს მომგებიანი საქმიანობის წარმართვა.

საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. სხვა დეტალები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 15.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მნიშვნელობა წინა პლანზე კომპანიისთვის ბოლო პერიოდში წამოიწია. საოპერაციო რისკები თავის თავში აერთიანებს, როგორც ტექნიკურ რისკებს (პროგრამულ და ქსელურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ), ისე ფორს-მაჟორულ სიტუაციებს. კომპანიაში დანერგილია პროგრამული და ქსელურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკების მართვის ღონისძიებები.

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

3. არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა

შპს „ბათუმის წყალი“ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს ბაზარზე. საწარმოს თანამშრომლებით დაკომპლექტებას, თანამშრომელთა ადმინისტრირებას და არსებული ადამიანური კაპიტალის მართვას ახორციელებს კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილება. კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილება ცენტრალიზებულია და ექვემდებარება ადმინისტრაციის უფროსს. კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე 2021 წლის აპრილის თვიდან შპს „ბათუმის წყალის“ ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნა კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილება, რომელიც ახორციელებს საწარმოს HR-საქმიანობას, თუმცა პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება და აგრეთვე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება შპს „ბათუმის წყალის“ ადმინისტრაციის უფროსის მიერ, კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილებასთან მჭიდრო კოორდინაციის და შეთანხმების შედეგად. კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილების მიზანს წარმოადგენს: ხელი შეუწყოს კომპანიის განვითარებას, შექმნას ძლიერი/მყარი ადამიანური კაპიტალი, მოიზიდოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, გააუმჯობესოს თანამშრომლების სამუშაო გარემო, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, შესაბამისად შეამციროს თანამშრომელთა გადინება და შეძლოს ის, რომ კომპანიისა და თანამშრომლების მიზნები იყოს ურთიერთთანხვედრაში. განყოფილება აქტიურად მუშაობს როგორც სტაფის შენარჩუნებაზე ასევე, ახალი თანამშრომლების მოძიებასა და მათი კომპანიაში დროულ ინტეგრირებაზე, რაც თავისთავად ხელს უწყობს დასახული მიზნების დროულად განხორციელებას და კომპანიის განვითარების ტემპის შენარჩუნებას. კომპანიაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელიც შიდა პოლიტიკებისა და მიმართულებების მიხედვით შესაბამისი პროცედურები და ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება ყველა აუცილებელი წესის დაცვით. კომპანია მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ქმნის და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას. შესაბამისად, „ბათუმის წყალში“, კომპანიის განვითარებასთან ერთად, თანამშრომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად მზარდია. გენდერული თანასწორობის კუთხით მდგომარეობა დაბალანსებულია, მდებარეობითი სქესის, ისევე როგორც მამრობითი სქესის თანამშრომლები სარგებლობენ თანაბარი პირობებით და შესაძლებლობებით. შესაბამისად, აქვთ თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. თანამშრომლის დაქირავების პროცესში ყურადღება ექცევა და აქცენტები კეთდება კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობასა და კვალიფიკაციაზე, განურჩევლად სქესისა. აღნიშნული თანასწორობის დაცვაზე პირდაპირ მეტყველებს შინაგანაწესი, რომელიც სრულიად თანხვედრაშია სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

საწარმოში შემუშავებულია თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა, სამუშაო გრაფიკებისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა კომპანიაში არსებულ ორგანიზაციულ კლიმატს. სწორედ ამიტომ, თანამშრომელთა მოტივირებისა და ზოგადი კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სხვა და სხვა კორპორატიული პროექტები: კორპორატიული ღონისძიება, სადღესასწაულო დღეების მილოცვა, და სხვა სპორტული აქტივობები, რომელიც შეჯიბრის სახით ტარდება ქ. ბათუმში არსებული მინი ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით. ასევე ხდება თანამშრომელთა დაინტერესება პრემიების სახით.

შრომის უსაფრთხოების საკითხები

კომპანიის ჰყავს შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების განყოფილების უფროსი სერთიფიცირებული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნებული კანონით, შრომის უსაფრთხოების შესახებ; ასევე საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა დაკავშირებული რეგლამენტებით. 2021 წ. მოხდა შრომის უსაფრთხოების დებულების შედგენა და დამტკიცება სადაც დეტალურადაა გაწერილი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. განახლდა სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურად გაიწერა საწარმოებში განთავსებული დანადგარების უსაფრთხო და სუფთად გამოყენების წესები. სახელმძღვანელოსთან გაცნობა სავალდებულოა ყველა ახალი თანამშრომლისათვის (პოზიციის შესაბამისად). მოხდა საწარმოს თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგების ორგანიზება, რომელთა შინაარსი მოიცავდა: ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებს, პირველადი სამედიცინო დახმარების საბაზისო საკითხებს, ელექტრო უსაფრთხოების საბაზისო საკითხებს, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მოქმედების ინსტრუქციას, საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სამოქმედო გეგმას. 2023 წლის მარტში მოხდა კომპანიის შემოწმება შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, შრომის უსაფრთხოებას ნორმების დაცვის შემოწმებისთან დაკავშირებით. შემოწმების დროს გაიცა რეკომენდაციები/მითითებები და მათი შესრულების ვადები. რეკომენდაციები/მითითებები შესრულებული იქნა მითითებულ ვადაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

კომპანიის მიერ აღიარებული ფასეულობები და მოქმედების უმთავრესი პრინციპი - ქონდეს მომხმარებელს ამომწურავი ინფორმაცია, სამომხმარებლო კმაყოფილება, გავითვალისწინოთ შენიშვნები და მაქსიმალურად მოვერგოთ მომხმარებელს. საზოგადოებასთან ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია სოციალურ ქსელებს, ინტერნეტ სივრცის სხვადასხვა პლათფორმებს, რის მეშვეობითაც უშუალო კომუნიკაციაში შევდივართ მომხმარებელთან, ვაწვდით ყველა საჭირო ინფორმაციას პროდუქციის, კომპანიაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ასევე ვიგებთ მათი საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რაზეც მყისიერად ვრეაგირებთ. ეს არის ურთიერთობის უწყვეტი ჯაჭვი, რაც კომფორტულია, საჭიროა, როგორც მომხმარებლისთვის ასევე შპს ბათუმის წყალისთვის. დღეს, შექმნილია, ბათუმის წყალის ოფიციალური Facebook გვერდი, რომელიც იმართება ადმინისტრაციის სამსახურიდან და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომხმარებლის პულსზე ხელი გვიჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 18 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება.

ეკონომიკური მდგომარეობა

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“. ნებისმიერმა ცვლილებამ სავალუტო პოლიტიკაში, აშშ დოლართან ან ევროსთან ლარის შემდგომმა გაუფასურებამ, ინფლაციის განგრძობადმა ზრდამ ან სხვა ნეგატიურმა, მათ შორის, გარე ფაქტორებმა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე. „კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დაკავშირებულია იმპორტირებულ პროდუქციასთან. უ. „კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს სახელმწიფო ტენდერის საშუალებით. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსების ცვლილებას მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელია, თუმცა არსებობს რისკი, რომ ადგილობრივი მომწოდებლების და დისტრიბუტორების მიერ მოხდეს ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ და საოპერაციო შედეგებზე. საქართველოში განვითარებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები „კომპანიის“ ოპერაციები სრულად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავალი მთლიანად მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა. თუმცა, ბათუმის წყალი ოპერირებს ისეთ დარგში, როგორიცაა სიცოცხლისთვის აუცილებელი წყლის წარმოება-გაყიდვა, შესაბამისად, ზემოთ მოცემული რისკების მიმართ არსებითად უფრო მედეგია, ვიდრე სხვა დარგში მოღვაწე ქართული კომპანიები, ვინაიდან ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ბაზარი შედარებით ნაკლებად მგრძნობიარეა ისეთი ფაქტორების ცვლილების მიმართ როგორიცაა პოლიტიკური თუ სამართლებრივი და გარკვეულწილად ეკონომიკური პირობებიც. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე და მის ფინანსურ შედეგებზე. ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა მშპ-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს მშპ-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას. 2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა. აღსანიშნავია, რომ რეგიონალური კრიზისის ფონზე, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ გამოავლინა მდგრადობა და შეინარჩუნა დადებითი ზრდის ტემპი. პანდემიის დაწყებამდე, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 2017-2019 წლებში შეადგენდა 4.9%-ს (2017 წელი, 4.8%, 2018 წელი, 4.8%, 2019 წელი, 5.0%). კოვიდ-19 პანდემიამ საკმაოდ მძიმე გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. მკაცრმა და არაპროგნოზირებადმა შეზღუდვებმა დააზიანა მრავალი სექტორი. მათ შორის მნიშვნელოვნად დაზიანდა ტურიზმი, რომლის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში სტაბილურ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. 2021 წელს მოხდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი აღდგენა. კერძოდ, 2020 წელთან შედარებით, რეალური მშპ გაიზარდა 10.4%-ით, ხოლო 2019

წელთან შედარებით კი 2.9%-ით. 2022 წელს ზრდის მაღალი დონე შენარჩუნდა, თუმცა უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა გარკვეულწილად შეამცირა აღნიშნული მოლოდინი. სავაჭრო პარტნიორებში არსებული და მომავალი რეცესიის მიუხედავად, სხვადასხვა ორგანიზაციის პროგნოზის მიხედვით, 2022 წლის ზრდა არის დადებითი და რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 8,5%-მდე გაიზარდა. პანდემიის პერიოდში ასევე მოხდა მთავრობის ვალის მნიშვნელოვანი მატება. კერძოდ, 2020 წელს, მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-თან გადააჭარბა თავისუფლების აქტით განსაზღვრულ 60%-იან ნიშნულს და შეადგინა 60.2%. 2018 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 38.9%-ს, ხოლო 2019 წელს, 40.4%-ს. თუმცა, 2021 ბოლოსკენ და 2022 წლის დასაწყისში, მოხდა მთავრობის ვალის შემცირება და მოსალოდნელია, რომ 2022 წლის მდგომარეობით, ის გაუტოლდება 51.1%-ს, მთავრობის მიერ გამოცხადებული ფისკალური კონსოლიდაციის პოლიტიკის შედეგად, რომლის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირება (2020 წელს, საგარეო ვალის შეფარდება მშპ-თან შეადგენს 47.6%-ს, ხოლო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით მოსალოდნელია მისი შემცირება 41.1%-მდე) და შიდა ვალის წილის ზრდა. 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,335.8 მილიონი აშშ დოლარი, რაც 1.4%-ით აღემატებოდა 2018 წლის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მაჩვენებელმა 571.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო არარეზიდენტი კომპანიიდან რეზიდენტი კომპანიისადმი საკუთრების გადაცემა. 2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,152.8 მილიონი აშშ დოლარი, რაც 101.6%-ით აღემატება 2020 წლის მნიშვნელობას, მაგრამ 13.7%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაერთიანებული სამეფოდან, რომლის წილი 2021 წლის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენს 51.8%-ს. კერძოდ, 2020 წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაერთიანებული სამეფოდან გაიზარდა 96.9%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით, 151.9%-ით. დანარჩენი ქვეყნების შეთხვევაში წინა წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 106.8%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით, შემცირდა 49.4%-ით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის 7.5% შეადგინა. 2020 წლის მონაცემებით უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის მხოლოდ 3.6% შეადგინა, 2021 წელს კი, 6.2% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს გარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ ძირითად წყაროს ასევე წარმოადგენს თურქეთი, რომლიდანაც ინვესტიციები მცირდება როგორც 2020 წელთან, ასევე 2019 წელთან შედარებით. ამ მონაცემების შესაბამისად და იმის გათვალისწინებითაც, რომ თურქეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა, აღნიშნულ ქვეყანაში ეკონომიკის შემცირებამ, ვალუტის გაუფასურებამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ და/ან პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე. ტურიზმის მხრივ 2020 წელს პანდემიის ფონზე საქართველოში 1.75 მილიონი ვიზიტორი შემოვიდა (-81.3% წ/წ). ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს და დიდი ზეგავლენა აქვს მთლიანი ეკონომიკის ზრდაზე. 2021 წელს, საქართველოში ჯამში შემოვიდა 1.88 მილიონი ვიზიტორი (7.7% წ/წ 2021/2020, -79.9% წ/წ 2021/2019). 2022 წლის პირველი სამი თვის მონაცემების მიხედვით, საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 0.57 მილიონი, რაც 328%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს, და ნაკლებია 56.8%-ით და 64.4%-ით 2020 და 2019 წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს, შესაბამისად. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების და ვაქცინაციის მომატებული დონის მიუხედავად, ტურიზმის სექტორი ჯერ კიდევ იმყოფება აღდგენის პროცესში და პანდემიის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს ახალი შტამების წარმოქმნის სახით. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ვირუსიდან მომდინარე გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით. ამან მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე. შესაძლებელია წარმოქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით. 2014 წლის 27 ივნისს საქართველო ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის,

მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ვაჭრობის და კონკრეტული სექტორების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი. ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. მაგალითად, „კომპანია“, შრომის კოდექსში ზემოთ მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიტანა ცვლილებები თავის შრომით ხელშეკრულებებში.

გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე მმართველობითი ანაგრიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი:
ალექსანდრე მჟავანაძე

გენერალური დირექტორის
მოადგილე: თინა ართმელაძე

მთავარი ბუღალტერი:
ნინო ლორია

მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ვაჭრობის და კონკრეტული სექტორების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი. ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. მაგალითად, „კომპანია“, შრომის კოდექსში ზემოთ მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიტანა ცვლილებები თავის შრომით ხელშეკრულებებში.

გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე მმართველობითი ანაგრიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 22 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი,
ალექსანდრე მუჯვანაძე

გენერალური დირექტორის
მოადგილე: ფინანსური მართვა

მთავარი ბუღალტერი;
ნინო ლორია